საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/39

ქ. ბათუმი 06 აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №06-01/76 დადგენილების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის ოქმის (06.08.2021 წ) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურა - ბსუ–ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ვლადიმერ ღლონტი (22-წევრიანი შემადგენლობიდან წარმომადგენლობითი საბჭოს 15 წევრის ხმით) და უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 2021 წლის 23 აგვისტოდან.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

თავმჯდომარე, პროფესორი ემზარ მაკარაძე